ლიტერატურულ და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 7 თებერვალი, 11 1896 წ. № 7

შინაარსი: პროფესორი ვასილ მოხეს ძე პეტრიაშვილი, —ტ—; ქალთა მომავალი სკოლის შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები; დეპეშა თ. გრ. დადიანისა.—ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებიდან მისი წესის აგებამდე, ს—ლისა. – გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი.—მოგონება, ლექსი შელიდან.—საკვეხნიო და საპროფეს. ონალო განათლებ ს გამავრცელებელთა კრება მოსკოვში.—აკაკის მიგებება ხარკოვში.—ძველი ღმერთი (დასასრული), მღდ. გვარამაძისა.—

პროფესორი ვასილ მოხეს ძე პეტრიაშვილი.

ამას წინათ ჩვენ მკითხველს გავუზიარეთ რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობა ჩვენი ცნობილი მამულიშვილის შესახებ, რომლის 25 წლის იუბილე უდღესასწაულია ქ. ოდესაში. დღეს ჩვენ გვსურს მოგვეთ გავაცნოთ ზნეობრივი პიროვნება ამ დიდსუული ადამიანისა. მეტათ საძნელოთ მიგვაჩნია ასეთი შრომის შესაფერათ ასრულება, რადგანაც ამისთვის საკმარისი არ არის, რომ ადამიანს კარგათ და ასლო იცნობდე მით უმეტეს, რომ გასიდ პეტრიაშვილი სრულიად მოკლებულია იმ გარეგან თვალის წარმტაც მხარეებს, რომელიც უნებლიეთ იზიდავს ყურადღებას. პირიქით, რადესაც მას პირველათ სედავთ, მისი მოღრუბლული სახე და ჩუმი ხასიათი თქვენ ძალუნებურათ გაფიქრებიებთ, რომ ეს კაცი თავის დღეში არავის არ აპატიებს არავითარ დანაშაულს, რომ იგი მიუკარებელია და გულჩათხრობილია. მაგრამ სრულიად საკმარისია რამდენიმე სასთი დაჭეოთ მასთან საუბარში და თქვენ ადგილათ

პროფესორი ვასილ მოხეს ძე პეტრიაშვილი.

გაიცნობთ მის კეთილ გულს და კეთილშობილურ ხასიათს. მისი საუბარი ყოველთვის მარტივია, საქმიანი, დროზე დარბაისლური, მაგრამ ზოგჯერ იუმორით სავსე. თქვენ ყოველ სიტყვაში გრძნობთ, რომ იგი არასოდეს უკან არ დაიხევს და შეძლებს თავისი სიტყვის ასრულებას, რომ ვერავითარი დაბალი ინტერესი ვერ გაიტაცებს მას; იგი არის პატიოსანი, რომ იტყვიან, ნამდვილი პრინციპის კაცი და მისი ყოველი უბრალო საქციელიც კი თავის თავათ ეთანხმება მის ზნეობრივ პრინციპებს. მას არა ერთხელ უჩვენებია ეს სიმტკიცე თვისი ხასიათისა, მაგრამ ჩვენ აქ არ შეგვიძლია ფაქტების მოყვანა. ეს არც საჭიროა. კიდევ ერთი შესამჩნევი თვისება ამ ადამიანისა არის საკვირველი შრომის მოყვარეობა, და ამ მხრით მას დიდი გავლენა აქვს ჩვენს ქართველ სტუდენტობაზე, რომელიც ყოველთვის ღირსეულად აფასებს მას. პროფესორთა კოლეგიაში მას ყველა დიდ პატივსა სცემს და მართლაც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამხანაგთა და მოწაფეთა შორის მისი ზნეობრივი ავტორიტეტი მეტათ მაღლა დგას.

—ტ—

ქალთა მომავალი სკოლის შესახებ.

ქალების სკოლის დაარსების საქმე, გვგონია, ერთი ნაბიჯით წინ წადგა, რადგან სათავად-აზნაურო ღარიბთა შემწე კომიტეტის ქალთა განყოფილებამ ამოირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქალების სკოლისთვის საჭირო გეგმა, შეადგინოს ხარჯის ვარაუდი და უჩვენოს სახსარი, რომელიც შეინახავს სკოლას. მერე, აპრილში, თავად-აზნაურთა საზოგადო კრება გადასწყვეტს ამ საქმის ბედ-იღბალს.

გვეყო ამდენი მოლოდინი და საქმის უკან წაგდება! მართალია, დიდათ პატივსაცემია ქალთა კომიტეტის დედა-აზრი, რომ ჯერ ისეთი თანხა უნდა შეგროვდეს, რომ მის სარგებლით უნდა ინახებოდეს სკოლა. მაგრამ ამ რვა წლის განმავლობაში ამ ქალებსაც გული უნდა გატეხოდათ, რადგან წელიწადში ერთხელ კონცერტისა და ან თეატრის გამართეით ათი-ათასებს ვერ მოაგროვებენ. კერძო შემოწირულების იმედი არც უნდა ჰქონოდათ: ქართველები ერთობ ღარიბნი არიან და, თუ აქეთ შეძლება ზოგი ერთებს, ქეიფს ხომ ვერ მოიკლებენ! გარდა ამისა, ყველას გული უფრო შესტკივა იმ საქმისთვის, რომლის ნაყოფს უსახსრობას ხედავს. თორემ ახლა ყველა გაიძახის: „რა სკოლა, სად არი სკოლა, ვინ იცის მოვესწრებით თუ არა!“ თანხის მოგროვება ისე, როგორც ქალთა-კომიტეტი ახლა აგროვებს, ამას იქით შეუძლებელი გახდება, კონცერტებიც აღარ მიიზიდავს ხალხს... და თუ სხვა გზას არ დაადექით, სკოლის საქმე მიიძინებს.

განა აგრე ადვილია ჩვენი ქართველებისთვის თანხის გადადება სკოლისთვის?.. მაგალითი თვალწინა გვაქვს: ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა, რომელსაც ბანკი ყოველ წლივ აძლევს თითქმის მთელ თავის მოგებას. ამდენი ხანია ყველა, დიდი და პატარა, ცდილობს ამ სკოლის საფუძველზე დაყენებას, თანხის შოვნას, მაგრამ აქამდის საკუთარი სახლიც ვერ მოუპოვეს. იშვიათი ქართველი უნდა იყოს, რომ სულით და გულით არ უყვარდეს ეს სკოლა, მაგრამ წლითი წლამდე სულ იმას ვაიძახიან: ფული სამყოფი არა გვაქვსო.

ამის მიუხედავათ მაინც ვიტყვით, რომ ქალების სკოლის დაარსება შესაძლოა ახლავე და უსათუოთაც უნდა დავაარსოთ კიდეც, რადგან აუცილებელი საჭიროება მოითხოვს.

თუ ქალთა-კომიტეტი მეტ ენერგიას გამოიჩენს, თუ ახლათ ამორჩეული კომისია გულ-მხურვალეთ მოეკიდება საქმეს, თუ ჩვენი მწერლობაც ხელი ხელს მისცემს, მიიღვწყებს თავის წვრილმანობას, ნამდვილ მოვალეობას იკისრებს, გაუძღვევა წინ წმიდათა-წმიდა საქმეს, რომ ქართველი ქალები დაუბრუნოს თავის სამშობლოს,—მაშინ არც ერთი ქალი არ ჩამორჩება ამ საერთო საქმეს, ყველა მათგანი აფრიალებს დროშას, თავს გამოიდებს და საქმე დამთავრდება. ამ საშუალებით არა თუ ერთი სკოლა—ორი და სამიც გაიხსნება...

ახლა გადავიდეთ იმაზე, თუ რა გვარი ქალების სკოლა გვესაჭიროება ჩვენ.

ყველა ერთ ხმითი ჩივის, რომ ჩვენი ქალები ქართული ოჯახისთვის გამოსაყენი არ არიან; სოფელში ფეხს ვერ იკიდებენ, რადგან ჩვენი სოფლის ავი და კარგი არა ესმითრა; ნამდვილ დედათ, შვილის აღმზრდელათ ვერ გამოდგებიან, რადგან თავის სამშობლო დედა ენა არ იციან; ხალხის ჭირ-ვარამს ვერ შეიტყობენ, რადგან მათთან საერთო არაფერი არა აქვთ-რა. მიწა-მამული ხელიდან გვეცლება ჩვენი დაუდევრობით, ჩვენი სიღარიბით და ოჯახის ბურჯნი კი გარბიან ქალაქებში, ან საქეიფოთ, ან ვითომ შვილების აღსაზრდელათ. აქედან ადვილათ მიხვდებით, რა გვარი სწავლა ესაჭიროება ჩვენ ქალებს: უნდა ზედმიწევნით შეისწავლონ სამშობლო ენა, სამშო-

ბლო ისტორია, სამშობლო ლიტერატურა. ასე დამზადებული შეიყვარებს თავის ხალხს, თავის სამშობლოს, თავის სოფელს. რომ ქალმა ფეხი მოიკიდოს სოფელში, უნდა იქ საქმე გაიჩინოს. ამისთვის საჭიროა იცოდეს: მეფუტკრეობა, აბრეშუმის მოყვანა, ყველისა და ერბოს გაკეთება, ბოსტნეულობის საქმე, მცენარეების გამოყენება და სხვა კიდეე ბევრი შესაფერი საქმე. ამასთანავე თითქმის ყოველ სოფელში ესაჭიროებათ ანბანის მასწავლებელი, ჭრა-კერვისა, ანგარიშების მცოდნე და ავათ-მყოფების მკურნალი.

ნუ წეგეშინდებათ, მკითხველო, აქ ამდენი საგნები რომ ჩამოვთვალეთ. რასაკვირველია, ერთი არსება ვერ შეითვისებს ყველა ამ ცოდნას. ეგ იქნება დამოკიდებული თვით ყმაწვილის ხასიათზე და იმ ადგილზე, სადაც მოელის მას ცხოვრება.

რადგან ასე გვიანდება ამ სკოლის დაარსება, საჭიროა სხვა წოდების ყმაწვილებიც გავიხსენოთ, გარდა სოფელში მცხოვრებლებისა. ტფილისის ქართველობაც ღარიბია, ეძებს შვილებისთვის მცირე ფასიან სკოლებს—და ყურადღებას არ ათხოვებს შვილების გადაგვარებას.

მაშასადამე, ჩვენ ისეთი სკოლა უნდა დავაარსოთ, რომ სოფელიც და ქალაქიც დავკმაყოფილოთ.

ჩვენი აზრით, უნდა გავხსნათ ქალაქის რომელმე განაპირას (ვერაზე ემჯობინება, რადგან აქ უფრო ქართველობა ცხოვრებს) პირველ დაწყებითი ქალების სკოლა პანსიონით, რომელშიაც სწავლა უნდა უდრიდეს გიმნაზიის ოთხ-კლასის სწავლას, მხოლოთ იმ საფუძველზე დაყენებული უნდა იყოს, როგორიც ზემოთა ვთქვეთ: სამშობლო ენის, ისტორიის და ლიტერატურის შესწავლაზე. შემდეგ ყმაწვილები უნდა გადაიყვანონ სპეციალურ კლასებში, გამართულთ რომელმე სოფელში, თუნდ სკრაში. რადა რა სპეციალურ საგნებს შეისწავლიან იქ—ეგ იქნება დამოკიდებული სახსარზე და დედ-მამის მოთხოვნილებაზე.

ის ყმაწვილები კი, რომელნიც მოინდომებენ სწავლის გაგრძელებას, გადავლენ გიმნაზიაში ჯ, თუ კაი საძირკველზე არიან დაყენებული, იმათი გადაგვარება შეუძლებელი იქნება.

მანამ პროგრამის შესახებ სხვას არას ვიტყვით.

რაც შეეხება საშუალებას, პირველ დაწყებით სკოლისთვის გვექნება შემდეგი წყარო: ის 15,000 მანეთი, რომელიც მოაგროვა ქალთა-კომიტეტმა, შემოსავალი პანსიონიდან და გარედან მოსიარულე ყმაწვილებისაგან და ის, რასაც სათავად-აზნაურო ბანკი თავის მოგებიდან გამოიმეტებს.

აბა, დავამთავროთ ამისთანა ფრიად კარგი საქმე, დავაარსოთ ქალებისთვის ისეთი სკოლა, რომ იქ გამოზდილმა ქალებმა დედის რძესთან ერთათ გადასცენ თავიანთ შვილებს სამშობლოსადმი სიყვარული.

ჩვენ კელავაც დაეუბრუნდებით ამ საგანს.

სხვა-და-სხვა ამბები.

ებერვლის 3-ს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებული ეპისკ. გაბრიელის სულის მოსახსენებლათ ქ. თბილისში. ამავე საზოგადოებამ გაგზავნა თავის ორი წევრი—ივ. ელიაშვილი და ივ. რატიშვილი ქუთაისს განსვენებულის პატივსაცემლათ და იქ 4 თებერვალს საკათედრო ტაძარში ეპისკ. ბესარიონისა და მთელი კრებულისაგან გადახდილ იქნა კვლავ პანაშვიდი, რომელზედაც დიდძალი ხალხი დასწრებია.

* * *

ნამდვილათ შეეიტყეთ, რომ განსვენებულ გაბრიელს თავის ძმისწულებისათვის უთხოვია გადაცენ „წ.—კ. საზოგადოებას“ ის ფული, რაც ნეტარ-ხსენებულის ეპისკოპოსის დასაფლავებას გადარჩება. ეს ფული კი ას თუმნამდე ნაკლები არ იქნება თურმე.

* * *

ყველიერის კვირაში გამართული იყო ბალი ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ. ბალს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. წმინდა შემოსავალი ას ორმოცდაათ თუმანზე ნაკლები არ არის.

* * *

გორის მაზრაში სოფ. მეჯვრისხევში წიგნთსაცავი დაუარსებია კნ. ეკატერინა გიორგის ასულს ერისთვისას. დამაარსებელი წიგნებით დახმარებას თხოვს ყველა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ.

* * *

თბილისის ხელოსნებმა ახალი უსტაბაში ამოირჩიეს, რომლის თავოსნობით ფიქრობენ წიგნთსაცავი

და ბეჩავთა თავშესაფარი დაარსონ. ეს თუ გაახორციელეს ხელოსნებმა, მაშინ ისინი გონებითათ და ზნეობრივათ მაღლა აიწევენ და თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას უფრო მკვირცხალი თვალით დაუწყებენ ცქერას.

***

სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ხარკოვის უნივერსიტეტში გახსნას კათედრები, საიდანაც უნდა ასწავლიდენ მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგს.

***

სამთო დეპარტამენტს სასარგებლოთ დაუნახავს წელსვე მოახდინოს საგეოლოგო გამოკვლევა ართვინის ოლქში ჭოროხისა, ბერტასუსა და არდანუჩაიზე მდებარე ადგილებისა, რათა შეტყობილ იქნეს, სად და რა ადგილას მოიპოვება ოქრო.

***

გაზ. „ნ. ობ." გვატყობიებს, რომ განჯაში უპოვიათ სპილენძისა და თუთიას ლითონი, ჯევანშირის მაზრაში კი აღმოჩენილა ტყვია-ვეცხლის ლითონი.

***

ქუთაისის საგუბერნიო მართველობა თხოულობს თურმე სახელმწიფო დახმარებას, რომ იმერეთის სოფლელებს, წყალ-დიდობისა და დიდი თოვლისაგან დაზარალებულთ, შეეწიოს.

***

რიონი კიდევ ნაპირებიდან გადმოსულა ფოთის ახლო და ფოთს წამის-წამ მეორეთ განადგურებას უპირებს თურმე.

საყურადღებო ამბები.

ᲐᲮᲚ. რაჭის მაზრა შედარებით სხვა საქართველოს კუთხეებთან ძლიერ ჩამორჩენილია სწავლა-განათლების საქმეში. აქ ხშირათ მოიპოვება იმისთანა სოფელი, რომელშიაც თითქმის ერთმა გლეხმაც არ იცოდეს თავის სახელისა და გვარის მოწერა ქართულათ. მიზეზი კი ამისა გახლავს შკოლების უქონელობა. სამინისტრო შკოლები კი არის აქა იქ სოფლებში. მათი რიცხვი ძლიერ მცირეა. მაგრამ ღვთის იმედით ამას წინეთ ერთი სასიამოვნო ანბავი მოგვიტანეს ქართულმა გაზეთებმა. უწმინდესმა ინოდმა უმაღლესათ დამტკიცებული უქაზი გამოსცა, რომ ყოველ მაზრაში გაიხსნას ხაზინის ხარჯით ორ-კლასიანი სასწავლებლები. უქაზში მოხსენებულია: დაფუძნება ამ გვარი სკოლებისა უნდა მოხდეს იმისთანა სოფლებში, რომელნიც დაშორებულნი არიან დაბასა და ქალაქებს და არა აქვთ სამინისტრო შკოლები.

ჩვენ შევიტყვეთ, მთავრობას განზრახვა აქვს უწმინდესი სინოდისგან დამტკიცებული შკოლა ერთი სოფელ წესში უნდა ააგოს. ეს აზრი დიდათ შევნიერი აზრია და დიდათ სასარგებლოც იქნება მთელი რაჭის მაზრისათვის, მით უმეტეს, რომ სოფ. წესში დღეს-დღეობით არ არსებს არც სამინისტრო შკოლა და არც სხვა. სამინისტრო შკოლა თუმცა იყო ამ ორი წლის წინათ, მაგრამ შკოლაცა და სასოფლო კანცელარიაც სოფელს ამბროლაურში გადიტანეს და სოფელ წესისათვის სრულებით უსარგებლოა დღეს ის შკოლა. სოფ. წესი ძლიერ კარგი მოხერხებული ადგილია. აქ ძლიერ ადვილათ ისარგებლებენ შკოლით მოწაფეები, იმიტომ რომ სოფ. წესს მრავალი სოფელი აკრავს ახლო-მახლო და მისვლა-მოსვლა შეგირდებს არ გაუჭირდებათ; ჰაეა და წყალიც შევნიერია; აგრეთვე, შუა ადგილია რაჭის მაზრაში სოფ. წესია. შკოლის ასაშენებელ ადგილს თ. ასლან ერისთავი სწირავს რაოდენიმეს და დანარჩენს კი თითონ სოფლელები შესწირავენ. აგრეთვე შკოლას დახმარებას პირდება სოფ. წესს მცხოვრები ზურაბ ნიკოლოზის ძე მაისაშვილი: ამ თავით ოთხას მანეთს შესწირავ შკოლასო და მერმე ყოველ წლიურ დახმარებას აღმოვუჩენო. ადგილობრივი მღ. პლატონ ელბაქიძე იმისთანა კაცია, რომ ის ყოველ თავის ღონისძიებას შკოლას მოახმარს, თუ ეს ასე იქნება, როგორც ხმა გვესმის. იმედია, ყოველი პირი თავის დაპირებას დიდი სიამოვნებით აასრულებს.

ვანო ჭიჭინაძე.

***

ᲭᲘᲗᲣᲠᲐ. ნათქვამია, უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიოთ. სწორეთ ასე მოგვდის ჩვენ, ჭიათურე-

ლებს. ცოტათი რომ აიწია ქვა-გუნდის წარმოებამ და შემოგვემატენ მყიდველები, მოიმატა ცოტათი ფასმაც, მაშან მოგვარდა წყალი, დააქცია გზები და წარმოება შეაჩერა. ახლა ძლივს ვეღირსეთ გზის გახსნას და ვფიქრობდით, რომ წარმოება ისევ აიწევდა. მაგრამ ისევ ეს ბედი გვეწვია. დაიწყო თოვა და ეს თვრამეტი დღეა, რაც განუწყვეტლივ თოვლი მოდის: ოთხ არშინზე მეტი თოვლი დასდო ჭიათურა'ში, გზები ყოველი მხრით შეიკრა. ბევრი სახლები და დუქნები ჩაამტვრია თოვლმა. სოფლებიდან ვერაფერი გასაყიდი შემოაქვთ, ჭიათურაში კი, თუ რამე იყო, გამოილია. ერთი კვირაც არ ყოფილა მიმოსვლა რკინის გზაზე, ამიტომ ვაჭრებმა ვერ მოასწრეს საქონლის მოტანა. დღეს მთელ ჭიათურაში თხუთმეტი ცალი პურის ფქილის მეტი არ მოიძებნება, ეს კი ორი დღის კერძია, მეტი არა. 29-ს იანვარს ადგილობრივმა ბოქაულმა ბ. არდიშვილმა, მთელი ჭიათურის ხალხი გამოიყვანა და აგრეთვე სოფლის ხალხიც შეიწია და ჭრის გზას ჭიათურიდან სოფ. წირქვალამდე თავ. სვიმონ დავითის ძის წერეთლის სასახლემდე. იქიდან უნდათ პურის ფქვილის წამოღება ჭიათურაში. თუ ეს საშუალება არ ეხმარა ბ. ბოქაულს, ხალხი შიმშილით მოკვდებოდა. სოფლებშიაც ასეთ მდგომარეობაში არიან: თოვლმა ბევრი სახლი სრულებით დამალა, ძლივს მიაგნო ხალხმა.

სოფ. სვერში 27 იანვარს უეცრათ კლდიდან წამოსული თოვლის ზვავი დაცემია ორი გლეხის ფარსადან და დათია ცუცქირიძეების სახლს. სახლები სულ დაუმტვრევია. ადამიანის სული, შიგნით მოქცეული და ერთი სტუმრათ მოსული მეზობელი გიორგი ცუცქირიძე იქვე მოუკლავს. ორი კაცი ძლიერ დამტვრეულია, ერთი ქალი ცეცხლზე დაცემულა და დამწვარია. ამ სამის მორჩენის იმედი არ არის, სხვებს კი ზოგს ხელი აქვს მოტეხილი და ზოგს თავი აქვს გატეხილი. მაგრამ სიკვდილით არა უშავთ-რა. რამდენმე მოსახლეს ამ სოფელში დაუტოვებია თავისი სახლი და სხვისას დაბინავებულა, ჩვენც ასე არ მოგვივიდესო.

რკვიის და სალიეთის რკინის გზის სადგურებს შუა იპოვეს თოვლში გამომხრჩვალი ყმაწვილი კაცი, მცხოვრები სოფ. ზოდისა შორ. მაზ. აზნ. დავით მიხეილის ძე გამყრელიძე. შორაპნიდან მოდიოდა თურმე. ხელის ცერი მოჭმული ჰქონდა, ჩანს გაჭირვებისაგან თვითონვე მოუჭამია.

სოლ. მოდებაძე.

*
* *

26-ს იანვარს ამა მდგომარის წლისა, პირველსა ჟამსა, დილეულ გარდაიცვალა მღვდელთ-მთავარი იმერეთისა გაბრიელ, შემწყნარე ქვრივთა და ობოლთა, სასწავლებელთა და სასნეულოთა შემწე, მამაკაცი მაღლისა გონებისა, განვლილი ფილოსოფოსთა სწავლათა შინა, მაგალითი უბრყვილო ცხოვრებისა, მშვიდი, მდაბალი, პატივცემული და საყვარელი ყოველთაგან, მამა სამწყსოჲსა და ნათელი განათლებისა, უებრო მქადაგებელი. ოქროვანნი სიტყვანი და მოქმედებანი მისნი ემსგავსებოდენ შრომასა დიდთა მათ ჩვენთა წმიდათა მამათასა, რომელთა ისახელეს გაშვენება უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს ეკკლესიისა. საუკუნომცა არს ხსენება მისი!..

გენერალ-ადიუტანტი უგანათლებულესი თავადი
გრიგოლ დადიანი.

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებიდან მისი წესის აგებამდე.

იანვრის 26-ს გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის უძვირფასესი ვარსკვლავი, ბრწყინვალეთ მანათობელი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ამ დროს აქ ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, საკრებულო ტაძრის დეკ. გ. ცაგარეიშვილი და სხვა სამღვდელოება, აგრეთვე ნათესავნი ნეტარხსენებული ეპისკ. გაბრიელისა (აქ ორ არშინ ნახევარი თოვლი ძევს და ამის მიზეზით ყველა ნათესავები ვერ მოვიდენ). პირველათ ასე გადაწყვიტეს: განსვენებულის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ 4 თებერვალი დანიშნეს. ამავე დროს დეპეშით აცნობეს მისი მეუფების გადაცვალება, როგორც მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს არხი-ეპისკოპოსს ვლადიმირს, თანასწორ ყველა საჭირო პირებს. ნეტარხსენებულ ყოვლად სამღვდელო გაბრიელს მოხსენებული აქვს თავის ანდერძში მისი დასაფლავება გელათის მონასტერში და, რადგან დიდი თოვლის გამო შეუძლებელი იყო გელათს მისი წასვენება და მასთან რკინის გზაზედაც შეწყვეტილი იყო მიმოსვლა, სადაც მისი მეუფების პატივისმცემელთ არ შეეძლოთ ამ დროს მოსვლა, უკანასკნელათ ამბორება და შენდობის მიღება, —ამისთვის მისი მეუფების გვ-

ლათში გასვენება და დასაფლავების დრო გადადვეს შემდეგისთვის, გამოდარებამდე. თუმცა მრავალი დეპეშა იქნა მიღებული, რომლითაც თხოულობდენ ცნობას, თუ რომელ დღეს იქნება მისი მეუფების გვამის დაკრძალვაო, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზით არავისთვის არა უცნობებიათ რა. იანვრის 26-დან თებერვლის სამ რიცხვამდე ყოველ დღე 12 საათზე დიდ პანაშვიდს უხდიდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი საკრებულო ტაძრის კრებულთან ერთათ და სხვა ქალაქის სამღვდელოთა თანდასწრებით. პანაშვიდი სრულდებოდა ქართულათ, ქართული გალობით, რომელზედაც ყოველთვის ესწრებოდა აუარებელი ქალი და კაცი. ყოველ საღამოს კი ხუთ საათზე საკრებულო ტაძარში იყო პანაშვიდი. რასაკვირველია, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, ხალხი აქაც ბლომათ ესწრებოდა. დანაშთენ დროს განსვენებულს სახარებას უკითხავდა თითო მღვდელი რიგრიგობით, განუწყვეტლივ დღე და ღამე.

3-ს ამ თვეს, დილის 9 საათზე, სამღვდელთმთავრო კარის ეკლესიაზე (ძველი სობორო) შეიკრიბა სამღვდელოება, არქიმანდრიტნი: გელათისა სერაპიონ, რექტორი სემენარიისა მ. დიმიტრი, ჯრუჭისა—ბენიამენ, ჭელიშისა—ნიკიფორე; დეკანოზები: კათედრისა გ. ცაგარეიშვილი, კიკაჩეიშვილი, ჭეიშვილი, ლამბაშიძე და სხვა მრავალი სამღვდელოება. ყველანი ერთათ შემოსილნი, ბაირაღების წინ ძღოლით, სამღვდელმთავრო სასახლეში ჩავიდენ, თვით მიცვალებულთან. შემდეგ მობრძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, შეიმოსა აქვე და მცირე პანაშვიდი გადაიხადა. შეუდგენ განსვენებულის ცხედარს ზემო მოხსენებულნი არქიმანდრიტნი, დეკანოზნი და გამოასვენეს. კუბოს იქით-აქეთ უდგენ ხელში სერაბინ ქერაბინით იპო-დიაკონნი, რომლითაც ფარვიდენ კუბოს. ამათ წინ მიბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონ და მრავალი სხვა სამღვდელოება რიგრიგობით დაწყობილი: დიაკონნი საცეცხლურებით, დიაჩოქნი ლამპრებით და სხვანი. ამ დროს მისი მეუფების ქართული გუნდი გალობდა: „შემწე და მხსნელ და მფარველ მეყავნ მე," „ვინა ვიწყო მე გლოვა" და სხვათა... ამათ წინ გალობდენ ქართულათვე სემინარიის და სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფენი. პირველი გუნდი გალობდა მ. რ. ხუნდაძის ლოტბარობით, ხოლო მეორე გუნდი მ. ა. გიორგაძის ლოტბარობით. ამათ წინ გალობდა რუსული მგალობელთა გუნდი კ. მაღრაძის ლოტბარობით. ამგვარი წყობით მიასვენეს განსვენებული საკრებულო ტაძარში. ამ ლიტანიობის დროს ყველა ქალაქის ეკლესიებზე იყო განუწყვეტლივი სამგლოვიარო რეკა. თუმცა თოვდა, მაგრამ დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ასე წარმოიდგინეთ, ჯაჭვის ხიდთან რომ მიცვალებულს მიასვენებდენ, პროცესია მღვდელთ-მთავრის სასახლემდე უწევდა და ეს მიხვეულ-მოხვეული, ახალი ნაკეთები გზა მთლათ გატენილი იყო ხალხით. წირვა შეასრულა ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა ზემოხსენებული სამღვდელოებით. წირვაზე გალობდა სამი გუნდი: რუსულათ კათედრის მგალობელთა გუნდი, ხოლო ქართულათ სემინარიის მოწაფენი და ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის მოწაფენი. წირვას დაესწრენ გუბერნატორი და სხვა ყველა წოდების წარმომადგენელნი. ეკკლესიაში ტევა აღარ იყო და გარეთ ბულვარამდის გატენილი იყო ხალხით. შუა წირვის დროს შემოიყვანეს უკანათლებულესი თავადი—ღრმათ მოხუცებული ღენერალი გრიგოლ დადიანი, რომელიც გადაეყრდნო კუბოს და დიდხანს ქვითინებდა; თავადი დიდი მეგობარი იყო განსვენებულისა და ეს კარგათ იცოდა აქაურმა საზოგადოებამ. ამიტომ ბევრმა გულით იტირა ამის დანახვაზე. თავადი მალე გაიყვანეს სისუსტის მიზეზით. ზიარების დროს გამოვიდა კათედრის დეკ. გ. ცაგარეიშვილი და წარმოთქვა გრძნობით სავსე სიტყვა. მან ცხადათ და გარკვევით გაგვითვალისწინა განსვენებულის ყოველგვარი ღვაწლი—ქვეყნისა, ეკლესიისა და მართებლობის სასარგებლო. მოიხსენია მისი ქადაგებიდან ამოკრებილი სიტყვები, რომლებითაც სამწყსოში პირველი შესვლის დროს დებდა ფიცს, აღთქმას, ჩემგან არჩეულ სამოღვაწო ასპარეზს, მიზანს არ ვუღალატოვო, და მართლაც, ერთი იოტის ოდენათაც არ შეუცვლია ეს აღთქმაო. ერთი სიტყვით, როცა ყოვლად საფუძვლიანათ და სანატრელათ დაასაბუთა ყოველი მუხლი თავისი სიტყვისა, თქვა ბოლოს: „ყოვლად სამღვდელოვ, მაპატივე! მე ჩემი უსუსური სიტყვით დღეს არა თუ რამ განმარტება მივეცი შენს ღვაწლს, შენს მოქმედებას, არამედ კიდევაც დავამახინჯე" და სხ. ამ დროს გაისმა ტაძარში საზოგადოთ ხმა მაღლა ქვითინი ხალხისა, რომელიც ამ დრომდის თავშეკავებულათ ღვრიდა ცრემლს. წირვის გათავებას შემდეგ ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა ბძანა მოკლე, მაგრამ ძლიერ საგულისხმო სიტყვა განსვენებულის შესახებ. ამას შემდეგ წაკითხულ იქნა განსვენებულის გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც ანდერძთან ერთათ დაუწერია განსვენებულს. ამას შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: სემინარიის რექტორმა მ. დიმიტრიმ, დეკ. ჭეიშვილმა და დეკ. ლამბაშიძემ. სიტყვები მ. რექტორისა და დეკ. ჭეიშვილისა გრძნობიერი, საფუძვლიანი, საჭირო და ცხოვლათ გამომხატველი იყო მისი მეუფების უკვდავი ღვაწლისა, ხოლო დეკ. ლამბაშიძემ

მოკლეთ შემდეგი აზრი გამოხატა: ძველ დროში, როცა სამღვდელთმთავროთ ირჩევდენ ვისმე, დაეკითხებოდენ, გსურს თუ არაო? ეს უკანასკნელნი ხშირათ უარს ამბობდენ, რადგან თავის თავს ულირსათ თვლიდენო. აი, ერთ იმათგანს ეკუთვნის განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელიცაო. მაშინდელმა მართებლობამ თხოვა მას, რომ მიელო მღვდელთ-მთავრობა და სამწყსოთ იმერეთის ეპარხიაო. მაგრამ უარი განაცხადა. განსვენებულმა მიტროპოლიტმა ისიდორემ დიდათ იმეცადინა შთაეგონებია გაბრიელისთვის მღვდელმთავრის ხარისხი მიელო. განსვენებული ის. მიტროპოლიტი ასე უსაჭიროესათ თვლიდა იმერეთისთვის ამ გვარათ განათლებული თავის მიწის შვილის მღვდელთ-მთავრობას. განსვენებულმა ის. მიტროპოლიტმა, როგორც აქ, საქართველოში ნამყოფმა, კარგათ იცოდა და შეგნებული ჰქონდა აქაური საჭიროება, მაგრამ გაბრიელი ვერას გზით ვერ დაითანხმა და მან სრულიად სხვა ასპარეზი აირჩიაო; ბოლოს განგებამ თითქოს დასაჯა იგიო... ამას შემდეგ მან შემოიბრუნა გული და დაეთანხმა მართებლობას მღვდელთ-მთავრობის მიღებაზე და ჩაიბარა იმერეთის ეპარქია, რომელმაც ყოველი მხრით ასე პირნათლათ დაიმსახურაო. ვევედროთ ღმერთს, რომ როგორც მაშინ ზრუნავდა მართებლობა ჩვენთვის, დღესაც ისე იზრუნოს და ჩვენთვის სასარგებლო, ჩვენი სულისა და გულის მცოდნე ამისი მსგავსი მღვდელთ-მთავარი მოგვევლინოსო.

ამას შემდეგ საზოგადოება დაიშალა. ხოლო მიცვალებული დაშთება ტაძარში ვიდრე კარგი დარი გამოვიდოდეს და გელათს წასასვლელი გზა გაიხსნებოდეს. გასვენების დღე გამოცხადებული იქნება თავის დროზე. ანდერძი, რომლითაც ოც-და-ათიათას მანეთამდე დაუტოვა სხვა დ სხვა დაწესებულებას, წაკითხულ იქნება გასვენების დღეს წირვას შემდეგ.

ს—ლი.

გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი.

(„მწყემსი“ № 2.)

განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა გაბრიელმა დატოვა მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც განსვენებულის სურვილისამებრ წაკითხულ იქმნა წესის აგების დაწყებამდე. აი, ეს სიტყვა:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

წყალობითა ღვთისათა, მივაღწიე რა მიდრეკილთა დღეთა ცხოვრებისა, გარნა მყოფი სრულსა მეხსიერებასა შინა, განვიზრახე დაწერა საკუთარი ხელითა ამა ანდერძისა.

1-ად ვსთხოვ შენდობასა, მოტევებასა ყოველთ, ვინც მიცნობდა, რაჲცა მათ ვსცოდე, ვაწყენინე, ანუ ვინიცობაა უსამართლოება ვუყავი. ჩემის მხრით მიუტევებ და შევუნდობ ყოველთა, ვინც რაჲმე მაწყენინა, დამჩაგრა, ანუ უსამართლოება მიყო.

2-ედ ვმადლობ და ვაკურთხებ ყოველთა, რომელნი იყვნენ სამწყსოთა შინა ჩემთა, გამოვითხოვ მათთვის ღვთისაგან წყალობასა, მშვიდობასა. გულით და სულით ვმადლობ მათ, რომელნი მე მწყალობდენ, მეწეოდენ, ვუყვარდი. ვმადლობ და ვაკურთხებ მათ, რომელნი იყვნენ ჩემი თანამსახურნი წინაშე ტრაპეზისა, თანაშემწენი მართვასა შინა სამწყოისთა; აგრეთვე შინაურთ მსახურთა, რომელთაგან მრავლითა თავდადებითა და ერთგულებითა მიადვილებდენ უძლურებათა ჩემთა.

მე-3 ედ ვევედრები ყოველთა, რომელნი გაიგონებენ ჩემსა გარდაცვალებასა, ლოცვა ჰყონ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის. ხოლო სამღვდელოება, ვესავ, წირვასაც შეასრულებს ჩემი სულის განსასვენებლათ, ვინაიდგან თითქმის ყოველნი ჩემ ხელთაგან არიან მიმღებნი საღრმთოისა სულის წმ. მადლისა.

მე-4ლედ ხორციელთა ნათესავთა ჩემთა ვუანდერძებ: ყოველთვის სწავლობდენ, შრომობდენ, პატიოსნათ ემსახურებოდენ ღმერთსა, ხელმწიფესა, მოყვასთა, ცხოვრობდენ თანხმობით, ეწეოდენ ურთიერთარს, არ ივიწყებდენ, რომ მათი წინაპარნი უხსოვრისა დროისაგან იყვნენ მსახურნი ტრაპეზისანი, ატარებდენ პატიოსნათ და შრომით ცხოვრებასა. რაოდენიც შესაძლო იყო, მე ვეწევოდი მათ, ახლა ვსთხოვ ყოველთვინ ილოცონ ჩემი სულისათვის.

ეს პირველი ნაწილი ანდერძისა ვსთხოვ, ვისაც ჯერ არს, იქმნეს წაკითხულ ნაწირვებს, ანდერძის აგების წინ“.

(დასასრული იქნება)

ეს მეტაო შესანიშნავი ნახატი „ღვთის მშობლის კურთხევა“ ეკუთვნის გამოჩენილ მხატვარს რუბენსს
და არის ბერლინის მუზეუმში.

მოგონება.

(შელიდან).

I

ზღვის პირას თვლემდა ფიჭვნარი,
ისმოდა ტალღათ ჩურჩულ-სიმღერა;
ნიავს სივრცეში მიძინებოდა,
შეჩერებოდა მას გულის ძგერა.
ცაზე ღრუბელნი დანავარდობდენ,
ზღვა კი მღეროდა ნაზათ ტკბილ ძილში.
და მის სიღრმეში კაშკაშა
ცისა კამარა ჰკრთებოდა.
ვგონებ, ეს მყუდრო საღამო
მოვლენილ იყო ზეცითა
და ტურფა, ნაზი სამოთხე
შემოგვცინოდა ლხენითა.

II

ქარისაგან კი გადმოზნექილნი
ფიჭვნი ერთმანეთს გადახვევოდენ
და ჩვენს თავ'ს ზემოთ იმათი შტონი
ერთმანეთს გულში ჩახუტებოდენ;
მომხიბლავათა გვისისინებდა
ნიავის სუსტი გულისა ძგერა,
თითქოს შორს, შორსა წყნარათ ისმოდა
რაღაც ტიტინი, ჩუმი სიმღერა!
მაგრამ ბუნებას უძრავს, უშფოთველს
მკვდართა დუმილი დაეპატრონა,
ვით სდუმს მუდამ ჟამს ყველა მცენარე,
ზღვის ძირზე რასაც აქვს მყუდრო ბინა!

III

რა დუმილია! არც ხმა, არც ოხვრა
ამ მყუდროებას არა აშფოთებს,
და ხვაკუნას „რაკა-რუკიც“ კი
შემდგარ სიჩუმეს აათკეცებს.
ეს ჩვენს ოცნებას, ამ ტკბილს, სანუკარს,
ტყეს, ტკბილი ძილით გარემოცულსა,
მიდამოს წყნარსა და დადუმებულს—
რაღაცა ზღაპრულ ფერსა ზე-ადებს.
ჩვენს გარს შეზავდა სათილისმო რამ,
ნისლმა მოიცვა მთისა წვერები,
მინდორი, ველი,—და შენც, ძვირფასო,
გამოგიქროლდა ტკბილი გრძნობები;
მეც კი აქ გულმა წყნარ გამიღიმა,
განვიცადე მეც ის გრძნობა ტკბილი,
რომ საოცნებოთ შენით მოეწყო
მთელი მიდამო, მინდორი, ველი!
თავ-დახრით დიდხანს ხის ქვეშ ვიდექით,
დავჩერებოდით ლაპლაპა ტბასა:
შიგ ცის კამარა გამოჰკრთებოდა
და გვინათებდა დაბლიდან ცასა.
ტყეც გამოჰკრთოდა ტბისა სიღრმეში,
ტოტიც ტოტზედა გადახლართული—
ეს იყო უფრო ტურფა, მომხიბლი,
ვიდრე ნამდვილი ზე-ამოსული.
ტბისა ძირზედა, ანკარა წყალში
თვალს გვეხატოდა ზღვისა მცენარე,
ტბისა ლივლივი და მისი მღერა
ხან საამური, ხან მომწყინარე!
ტბისა სიღრმეში კვალათ მოჩანდა
რაღაც უცნობი, ფერადი ფერი,
— ეს იყო შვილი ტალღათ ალერსის
მის სიყვარულთან—სხვა არაფერი!
მაგრამ ნიავმა წამოუბერა,
მყის გააქარწყლა ეს მოჩვენება,
ვით ღვთაებრივი ტკბილი სიზმარი
გაღვიძებისას ეჭვის წინ ჰქრება!
ოჰ! დეე, მუდამ იყავ შვენიერ,
ვით ტყე, მინდორი ტურფა, მომხიბლი..
მხოლოთ შენთან არს გული ბედნიერ,
შენით სულდგმულობს ტანჯული სული!

ნარჯანი.

სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების გამავრცელებელთა კრება მოსკოვში.

აგერ რამდენი ხანია, ჩვენში მხოლოთ იმას გაიძახიან, რომ ჩვენი დაქვეითებისა და ეკონომიურათ უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი ის არის, რომ სპეციალური, აგრონომული და სატეხნიკო ცოდნა არა გვაქვსო. ეს დალოცვილები, ასე გულ-შემატკივარნი ჩვენი აუტანელი მდგომარეობისა, იმასაც არ ცდილობენ, რომ თავის აზრის სინამდვილე და ჭეშმარიტება სხვებისას შეუფარდონ. ესენი ვით მართლ-მორწმუნე მაჰმადიანნი მხოლოთ თავისას გაიძახიან, ვითა ჯიქია. მათთან გამობაასება და გამოკამათება შეუძლებელია—სხვა რასმე დაგწამებენ და გვერდს აგივლიან. ამიტომ ჩვენი მკითხვე-

ლებისათვის ფრიად საგულისხმო იქნება, თუ რა დასკვნას დაადგა საერთო კრება, მოსკოვში წარსულ წელს მომხდარი, ამ ჩვენთვისაც მართლა რომ საჭირეარმო საკითხის შესახებ.

31-ს იანვარს სახალხო კითხვების მმართველ კომისიაში ქალ. ყაიდანოვისამ წაიკითხა მოხსენება რუსეთში სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების გამაერცელებელთა საზოგადო კრების შესახებ. ამ კრებას თავდაპირველათვე ის წამოუყენებია, რომ საპროფესიონალო განათლების გავრცელება წარმოუდგენელია, თუ საზოგადო განათლება არ არის; საზოგადო განათლება საფუძველათ უნდა დაედვეს საპროფესიონალოს და უნდა მას წინ მიუძღოდეს. საპროფესიონალო ცოდნის გავრცელება იქ არის ადვილი და ნაყოფიერი, სადაც წინათვე გავრცელებულია წერა-კითხვა და საზოგადო განათლება, ცოდნა. ხშირათ ამ ჭეშმარიტ მოსაზრებას ეიწყებენ იმიტომ, რომ ცალ-მხრივი მოსაზრებით არიან გატაცებულნი და ჯიუტობენ, ან და იმ მოსაზრებით, რომ საპროფესიონალო ცოდნა „მაენე აზრს“ არ ავრცელებს საზოგადოებაშიო. „ის გარემოება, რომ რუსეთი ყოველი მხრივ ჩამორჩა სხვა კულტურულ სახელმწიფოებს, ჩვენი ცუდი ეკონომიური პირობანი, დრო—გამოშვებითი შიმშილობანი, გადამდები ავათმყოფობანი (ეპიდემიები) და სხვა ფიზიკური უბედურებანი,—მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენს ძირითად მტერთან—ხალხის უმეცრებასთან“,—ასე თქვა თავმჯდომარემ კრებისამ. ამ უმეცრების თავიდან ასაცილებლათ კი საჭიროა სახალხო შკოლები, ეს ცივილიზაციის ფერმენტი, და საზოგადო პირველ დაწყებითი სწავლაო. განათლების მხრით რუსეთი სხვა სახელმწიფოებზე ბევრათ უკანა დგას. ამ მხრით იგი სათათრეთის წინ არის, ე. ი. ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს. მაშინ, როდესაც ამერიკაში ხალხის გასანათლებლათ იხარჯება 200000000 მანათი, რუსეთში 22000000, ე. ი. რუსეთში ერთი სულის გასანათლებლათ მხოლოთ 18 კაპ. იხარჯება. ეს კი ფრიად სამწუხარო მოვლენაა და ამის ასაცილებლათ ყოველი ღონე უნდა იქნეს მოხმარებული. საჭირო რიცხვი შკოლებისა რომ გაიხსნეს, ამისათვის დაგეჭირდება გამოვიღოთ 11 მილიონი მან. ეს რიცხვი კი დიდი არ არის, იმიტომ რომ იმ გადასახადს, რაც ახლა იკრიბება, $1^1/_3$ კაპ. მიემატება სულზე წელიწადში. ეს მცირედი გამოსაღები კი ამ დიდ მიზნისათვის ვინა დასაშურებელია? ამ გადასახადით კი მტკიცე ნიადაგზე დადგება სახალხო პირველ დაწყებითი სწავლა, ურომლისოთ ყოველად წარმოუდგენელი და შეუძლებელია, რომ ხალხის ცხოვრება განვითარდეს და სწორე გზას დაადგეს. „გაუმჯობესობა ხალხის ცხოვრებისა კი—მისი მატერიალური კეთილ-დღეობა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესობა—იმავე დონეზე დგას, რა დონეზედაც არის დაყენებული სახალხო ელემენტარული განათლება“. რადგან ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ დაწყებით სწავლას ხალხის მომავლისათვის და სახელმწიფოსათვისაც, ამიტომ აუცილებელი საჭიროა ამ სწავლის გაძლიერება და მტკიცე ნიადაგზე დაყენება. ზოგი შეიძლება იტყვის, რომ ამის მიღწევას ხელს შეუშლის ის გარემოება, რომ რუსეთი მჭიდროთ არ არის დასახლებული და გაშენებული. მაგრამ ეს მოსაზრება არ უნდა იქნეს მიღებული, ამიტომ რომ ნორვეგიაში ხალხი ორჯელ უფრო თხლათ და იშვიათათ მოსახლეობს, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ნორვეგიელებსა და მათ სახალხო შკოლები ბლომათ მოფინეს თავის არე-მარეს.

რაკი ასე გამოირკვა მიზანი და მიმართულება საერთო კრებისა, შემდგეგ ეს კრება შეეხო სხვა და სხვა საშუალებათ, რომელთ წყალობით შესაძლოა სახალხო განათლების გაუმჯობესობა და წინ წაწევა. ასეთ საშუალებათ დასახელებული იყო: შემოღებული იქნეს სავალდებულო პირველი დაწყებითი სწავლა; ზოგს იქნება არ ეჩვენიკოს ეს ვალდებულება და თქვას, რომ ამ-თ პიროვნების უფლებათა და თავისუფლებას შეეზღუდავთო. მაგრამ ეს ასე არ არის. ისეთ სახელმწიფოებში, როგორც ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც თავისუფლების სიყვარული ყველას ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს და შესისხლხორცებული, პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოა და ეს არავის ჰგონია, რომ თავისუფლებას უზიდავდეს.

სახალხო განათლების გაუმჯობესობისათვის შემდეგი საშუალებანიც იყო დასახელებული: საკვირაო შკოლა, მუშათათვის საღამოის კურსები, სახალხო კითხვები, წიგნთსაცავები, იაფ-ფასიანი სახალხო წიგნაკები და მოძრავი მუზეუმები. კრებამ განიხილა ცალკ-ცილკე ყველა ამ საშუალებითა ღირსება-ნაკლულოვანება და იმ დასკვნას დაადგა, რომ უნდა ეშუამდგომლოთ, რათა ამ დაწესებულებათ იფრო ერცელი და ფართო სარბიელი მიეცეს კანონითაო. მაგ. საკვირაო შკოლას პროგრამმა უნდა უფრო ერცელი მიეცეს. სახალხო კითხვები უნდა ადგილობრივი ენებზე იქნეს ნება-დართული. წიგნთ-საცავებშიაც უნდა შეეძლოთ ბევრი სხვა წიგნებიც შეიძინონ, თორემ ახლა „ბაგითნი და ლექსები“ ჯ. რ. აღკრძალულია. ბოლოს კრებამ გადაწყვიტა ეშუამდგომლოთ, რომ ნება გვექნეს მთელი რუსეთის პე-

დაგოგთა საზოგადო კრებანი მოხდებოდეს ხოლმე დრო-გამოშვებით. როგორც ამბობენო, თქვა ლექტორმა, ეს უკანასკნელი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნებაო. ეს სასურველი გადაწყვეტილება თვით ახალ წელს მოგვილოცა თვითონ თავმჯდომარემაო,—ამით დააბოლოვა ლექტორმა, ქალ. ყაინდანოვისამ.

შემდეგ წაიკითხა თავისი მოხსენება ქალ. სუხოვისამ მე-XII განყოფილების შესახებ. ამ განყოფილებაში სხვა და სხვა რამეებზე ყოფილა მსჯელობა. მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის საგულისხმოა მხთლოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი ხელია უმჯობესი—ირიბული თუ სწორი. ბ. ოკორკოვს ვრცელი მოხსენება წაუკითხავს ამის შესახებ და ის აზრი გაუტარებია, რომ სწორი ხელი ბევრათ უმჯობესია. ასეთ წერის დროს თავი, მხრები, ტანი და მკლავები სრულიად ნორმალურათ არის მოთავსებული, თვალებიც პირდაპირ დაყურებენ მას, რაც იწერება. ამიტომ ასეთი წერა მისთვის, ვინც სწავლობს წერას, არ არის საზიანო და მაენებელი. ამ მოხსენებას დიდი ბაასი და მსჯელობა გამოუწვევია და კრება იმ გადაწყვეტილებას დადგომია, იშუამდგომლონ, რომ ოდესის მზრუნველებმა მიანიჭონ სრული თავისუფლება მასწავლებლებს სწორი ხელით წერის შემოღებისა. ეს მოსაზრება და გადაწყვეტილება ჩვენთვის ფრიად საგულისხმოა, რადგან, როგორც ცნობილია, ქართულ წერას სწორი ხელი უფრო ემარჯვება. მაგრამ, ჩვენი უკულმართობისა გამო, ამ კანონიერსა და საზრიან წერას მტრები, ვისიც ხელთა არის უფლება, აღმოუჩნდენ. ვისურვოთ, რომ ეს ვაჟბატონები გონებას მოსულიყვენ და სწავლის საქმეში რაღაც მალული და საენო მოსაზრებანით არ ეხელმძღვანელებიოთ.

აკაკის მიგებება ხარკოვში.

ბ. კითხველს მოეხსენება, რომ ამ ჟამათ აკაკი ხარკოვში იმყოფება. 23 დეკემბერს მთელი ქართველი სტუდენტობა რკინის გზის სადგურზე შეგებებია აკაკის. „მაგრამ ეს მიგებება, ეს რამდენიმე წუთით ლაპარაკი, რასაკვირველია, საკმაო არ იყო ჩვენთვის; ჩვენ გვინდოდა დამტკბარვიყავით მასთან ხანგრძლივი ბაასით, გვსურდა გამოგვეცხადებია მისთვის ჩვენი გულის ნადები, ვფიქრობდით, გაგვეზიარებია ნიჭიერ პოეტისთვის ჩვენი აზრი და მისგანაც მიგვეღო მამობრივი დარიგება. აი, ამ მიზნით საყვარელ მგოსანს 3 იანვარს გავუმართეთ ვახშამი, რომელზედაც დაესწრო მთელი აქაური ქართველობა“. ასე გვწერენ ხარკოვიდან, და მართლაც მხოლოთ მას, ვისაც გამოუცდია, რა არის თავის ქვეყნის მოშორება, შეუძლია მიხვდეს იმ სიხარულს, დააფასოს იმ გრძნობის სიწრფელე, რომელსაც იწვევს ადამიანის გულში იქ, უცხოეთში, ქართველი კაცის შეხვედრა და მეტადრე ისეთი კაცისა, როგორიც არის ყველა ჩვენგანისთვის აკაკი წერეთელი. უნდა გამოვეტყდეთ, რომ ჩვენი სამშობლო ქვეყანა შორიდან უფრო გვიყვარს და ამ არა ნორმალურ მოვლენას სხვათა შორის, ამტკიცებს ემიგრანტთა მთელი ისტორია. აქ თითქო უქმდება ის პსიხოლოგიური კანონი, რომელიც გვასწავლებს: როგორც თვალი შორსაო, ისე გულიც შორსაო. „მე არ შემიძლია საესებით ავწერო სულიერი მდგომარეობა თვითეული იქ მყოფ ქართველისა“, განაგრძობს წერილს ავტორი და მოჰყავს იქ წარმოთქმული სიტყვები. სამწუხაროთ, უადგილობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია საესებით დასტამბა ამ სიტყვებისა. ვარჩიეთ მკითხველს გავუზიაროთ მხოლოთ მათი შინაარსი, რადგან თვითეული სიტყვა შეეხება სხვა-დასხვა მხარეს აკაკის მოღვაწეობისას.

თამადას, ბ. კლ. თოფურიძეს, განუმარტავს მნიშვნელობა ტოლუმბაშისა და მიუმართავს აკაკისათვის შემდეგი სიტყვით: „ჩვენო სასიქადულო და საყვარელო პოეტო, ბ. აკაკი! დღევანდელი დღე ბედნიერი დღეა ხარკოველი ქართველ სტუდენტების ცხოვრებაში, რადგან დღეს მათ პირველათ მიეცათ შემთხვევა უცხო ქვეყანაში დატკბენ თქვენი ლაპარაკით და გამოგიცხადონ თავისი ღრმა პატივისცემა და სიყვარული თქვენდამი, რომელიც, აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ემსახურებით თქვენს საბრალო ერს და შრომობთ როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმით, აფხიზლებთ ქართველის გონებას, იწვევთ და აძლიერებთ ქართველის გულში მამულისადმი სიყვარულს. მაგრამ თქვენი ღვაწლი არ თავდება მხოლოთ პოეტური ნაწარმოებით,— თქვენ იყავით ჩვენთვის პოეტიც, პუბლიცისტიც და პედაგოგიც. არ წამოუყენებია ჩვენს ცხოვრებას ისეთი კითხვა, რომლისთვისაც თქვენ გვერდი აგვეცალოთ და არ მიგეცეთ გონიერი, მოურიდებელი პასუხი. ამ მოურიდებლობამ, შეიძლება, თქვენ მტრებიც მოგიპოვათ, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომ ან მათ ძულდეთ. თანამედროვეთაგან დაუფასებელი და უდროოთ დაკარგული პოეტი მამიასი არ იყოს:

დეე, იცვალოს გარემოება,
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,
თვით ნუ იცვლები, მოვა დროება—
გიცნობენ რომ ხარ ადამიანი.

მაგრამ თქვენ დიდი ხანია გიცნო მთელმა ერმა და აგერ ორმოცმა წელმა განვლო და არ გიცვლია ფერი. გისურვებთ ჯანმრთელობას, ღმერთმა მოგცეთ ენერგია, რომ კვლავ ემსახუროთ ჩვენს საბრალო ერს

და ერი მადლიერი
თქვენსა სახელს გაადმერთებს.

—

მეორე ორატორმა ბ-ნ ჭიჭინაძემ თავის სიტყვაში წინ გაიმძღვარა თვით აკაკის ლექსის აზრი „გულის პასუხი“ და დაახასიათა სატირული და ლირიკული მხარე მისი მუზისა. როგორც სატირა, აკაკის ლექსი „ქმარი“ იყო ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც გატაცებული პირადი ინტერესით და მოკლებული ყოველ იდეალურ მისწრაფებას, გზაზე ელობებოდა იმ მცირე ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნათ გაეხადა სამშობლოს სამსახური. ყველაზე უკეთესი ჩვენთვის ის არისო, დაამთავრა ბ-ნ ჭიჭინაძემ თავისი სიტყვა, რომ

ქართულათ ჰქვნესს, ქართულათ სტვენ,
ქართველის გულს ამით უღხენ,
ხასიათს და ჩვეულებას
წინაპართა გვაგონებ ჩვენ.

და უსურვა მრავალჟამერ სიცოცხლე.

ამას შემდეგ სიტყვა წარმოუთქვამს ბ-ნ ასათიანს. მოკლეთ გაუხსენებია ის ახალი ხანა ჩვენი ლიტერატურისა, როდესაც აკაკი და სხვები გამოვიდენ საზოგადო asპარეზზე. ბ-ნ ასათიანმა მოიგონა მაშინდელი ახალგაზდების პოლემიკა ძველ თაობასთან, მოიგონა კამათობა „ცისკარისა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის და აღნიშნა ყოველ მხრივი პროგრესი და წარმატება, რომელიც დაეტყო ენას, საზოგადოებას, ლიტერატურას. ამ მოძრაობაში ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა აკაკის და ეს ადგილი მან დღემდე შეირჩინა. წარმატება კი, რომელიც ეტყობა ჩვენს ლიტერატურას, რასაკვირველია, არის სხვათა შორის შედეგი აკაკის მოღვაწეობისა. ბ-ნ ასათიანმა ასე გაათავა სიტყვა: ვისურვებთ, რომ ხანგრძლივი იყოს თქვენი სიცოცხლე, არ გაგეტეხოთ გული ზოგიერთების უსამართლო დაცინვისაგან და ჩვენც აღარ გვსმენოდეს:

სული წყლული, გული კრული,
სისხლი მჭკნარი, თმა ჭაღარა,
ამისთანა სიცოცხლეც კი
გინდ იყოს და გინდა არა!..

მოგვყავს აკაკის, სიტყვა რომელიც მან ბრძანა ბ-ნ ასათიანის პასუხათ.

„მე დღეს იმდენათ ბედნიერი ვარ თქვენი ტკბილი და ალერსიანი სიტყვების გამგონე, რომ ჩემი მხრითაც გულ-ახსნით გეტყვით ჩემ აღსარებას: თუ არ მეტათ, ნაკლებ—ბედნიერი არა ვარ დღეს აქ თქვენთან ყოფნით, ვიდრე ჩემ საკუთარ ოჯახში. ამით მე არ მინდა ვთქვა, რომ ჩემი ცოლ-შვილი და საკუთარი ოჯახი არ მიყვარსმეთქი. ეს რომ ვინმემ იფიქროს, შემცდარი იქნება. საზოგადოთ ჩვენი თავ-და-თავი, პირველი ოჯახი მთელი საქართველოა, სადაც მე, ჩემი მხრით, ყოველი რიგიანი ქართველი, ჩემზე უხნესი, მამათ მიმაჩნია; ტოლი—ძმათ და უმცროსი შვილათ, და, რასაკვირველია, ამ მრავალ ძმებზე, შვილებზე და მამებზე მეტი მართებს ყველას, და მათ რიცხვში მეც, ზრუნვა და ფიქრი, ვიდრე მარტო თავის საკუთარ ერთზე და ორზე? მაშასადამე, ჩვენც ბევრი დრო რომ ვეღარ გადავურჩინოთ ჩვენს საკუთარ ოჯახს სასამსახუროთ დიდ ცოდვათ და დანაშაულობათ არ უნდა ჩაგვეთვალოს!.. რაც შეეხება პირდაპირ ჩემ შრომას და ღირსებას, როგორც საზოგადო მოღვაწისას, გადაჭარბებულათ არის დაფასებული: მართალია, აგერ ორმოცი წელიწადი შესრულდა, რაც ვემსახურები ჩვენს ქვეყანას, მაგრამ შეიძლება ბევრჯელ კიდევაც შემცდარვიყო და, რომ უნდოდა, ის ნაყოფი ვერ მომეტანოს?!.. ეს კი არის მხოლოთ, რომ პირადობა არ უნდა დამეწამოს, რადგანაც საზოგადო საქმეში ყოველთვის გულწრფელი და პირდაპირი ვყოფილვარ!.. მართალია, ბევრი ტანჯვა და უსამართლობაც გამომივლია, მაგრამ მაგიერათ, ვერ ვიტყვი, რომ სიამოვნებაც არ მენახოს. დატრაბახებით კი ნუ ჩამომართმევთ და ბევრს ვუყვარვარ ჩვენში და, ვისაც არ ვუყვარვარ, სრულიად, ხელ-მოწყვეტით არც იმათ ვძულვარ!.. ჩემი მტრები, როცა გაბრაზებით მგმობენ, ვერ ახერხებენ, რომ ესეც არ დაამატონ ხოლმე: „რომ ეგეები არ სჭირდეს, რა კარგი იქნებოდა“-ო და სხვ... ეს რას ამტკიცებს, თუ არ სიყვარულში ძალაუნებურათ გამოტეხას?.. და მტრებისაგან ესეც დიდი ჯილდოა ჩემთვის!.. ამ მხრით კმაყოფილი ვარ და ბედის მადლიერი. რაც შეეხება აქ წამოთქმულ აზრს, ვითომც დღეს მე აქ თქვენთან პირველათ ვიყო, ეს შემცდარი აზრია: მე ჩემი მხრით არა თუ აქ, სადაც ჩვენი ქვეყნის მო-

სწავლე შვილები არიან, ყველგან ვარ ხოლმე გულით და ფიქრით და მგონია, რომ ისინიც უნდა მხედავდენ ხოლმე. დიახ, ხშირათ ვარ მათთან, ოცნებით ვებაასები იმაზე, რასაც ახლა თქვენც გეტყვით: ყმაწვილებო, მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითეული თქვენთაგანი მოციქულათ ამზადებს თავის თავს, თვითეული თქვენგანი გამჭვალულია იმ აზრით, რომ სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოანდომოს მთელი თავისი ძალ-ღონე; საუბედუროთ, როდესაც სამშობლოში ბრუნდებით, ეს აზრები გავიწყდებათ, ახლანდელი იდეალები ჰქრებიან და ცხოვრება მალე დაღს გასვამთ; და ამიტომ გისურვებთ მე, რომ ცხოვრებას დღეიდან თქვენი აზრები არ შეეცვალოს და გულმოდგინეთ გემსახუროთ მამულის სასარგებლოთ!..“

ამას შემდეგ ილაპარაკეს კიდევ რამდენმე პირმა. მათ შორის ბ. კიკალიშვილმა თავ ს სიტყვაში გამოთქვა ის აზრი, რომ ჩვენმა პოეტებმა მეტათ დიდი გავლენა იქონიეს ხალხზე და ეს გავლენა აიხსნება მხოლოთ მით, რომ ხალხის ბედი და უბედობა შვილსავით კალთით ატარეს, რომ თანხმათ მესამოცე წლების რუსული კრიტიკისა მათ უარ ჰყვეს ხელოვნება ხელოვნებისათვის და პოეზია მჭიდროთ დაუკავშირეს ჩვენს ცხოვრებასაო. საუკეთესო წარმომადგენლათ ასეთი მიმართულებისა ბ. კიკალიშვილს მიაჩნია ილია ჭავჭავაძე, რომელსაც თავის მოღვაწეობაში, ორატორის სიტყვით, არც ერთხელ არ გადაუხვევია მის მიერ „პოეტში“ გამოთქმული დევიზისთვის. ბ. კიკალიშვილმა ვრცლათ განმარტა მნიშვნელობა ჩვენი პოეტებისა ჩვენს ცხოვრებაში და უსურვა დღეგრძელობა აკაკის, ილიას, გ. წერეთელს და რაფ. ერისთავს.

თამადამ დალია ქართველი ქალების სადღეგრძელო, რომელსაც აკაკიმ დასძინა შემდეგი.

„მე სრულიად ვეთანხმები ბ. თამადას და ამასთანავე მინდა დავუმატო რამდენიმე სიტყვა: თუ სხვა ერს ჰყოლია გამოჩენილი ქალები, არც საქართველო იყო ღარიბი სასიქადულო დედებით, რომელთაც განსაკუთრებითი თვისება ის იყო, რომ მათ თავგანწირულათ უყვარდათ თავისი სამშობლო. მაგალითებისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის: მოვიგონოთ მზეხათუნ ჯაფარიძის ქალი, რომელიც ყოველგვარი სილამაზით იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან; მრავალი ყმაწვილი ცდილობდა მის ქმრობას, მაგრამ მზეხათუნი ყველას უარს ეუბნებოდა. ბოლოს მზეხათუნს მოეწონა ერთი ყმაწვილი და უთხრა: ყოველგვარი ღირსება გაქვს, მხოლოთ ერთი რამ გაკლია, სანამ შენში არ დავინახავ იმ ღირსებას, მანამ ვერ შეგირთავო. არ გაუვლია დიდხანს; ეს ყმაწვილი გაჰყვა ერთს წერეთელს და მონაწილეობა მიიღო ასპინძის ომში, სადაც ერეკლემ სამოცი ათასი ლეკის ჯარი დაამარცხა. ამ ომში ერთათ სხვა თავგანწირულ მამულიშვილებთან ეს ყმაწვილიც საშინლათ იქმნა დაჭრილი და დასახიჩრებული. რასაკვირველია, ყმაწვილი ამას შემდეგ ვერ გაბედავდა დანახვებოდა მზეხათუნს და ყოველი იმედი იმის შერთვისა დაჰკარგა; მაგრამ მზეხათუნმა დაიბარა ის თავისთან და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „აი, ეს ხაზი გაკლდა სახეზე და ახლა კი შეგირთავო“. ასეთი იყვნენ ძველი ქალები; ახლა კი არ შეგვიძლია დავიქოთ, რომ ასეთი დედები გვყავნდეს; უმეტესი მათგანი წვრილმანი ინტერესებით არის გატაცებული და საზოგადო საქმეს ყურადღებას არ აქცევს. ვისურვოთ, რომ მზეხათუნის მსგავსი ქალები გამრავლებულიყვნენ ქართველ ქალებთა შორის. ვსვამ ქართველი ქალების სადღეგრძელოს!..“

შემდეგ ამისა ქ-მა ჯაფარიძისამ აღნიშნა შესანიშნავი წარმატება ქართველ ქალთა შორის.

ბევრმა კიდევ სხვამ გამოთქვა საყურადღებო აზრი, რომელიც სამწუხაროთ უადგილობის გამო, ვერ მოვიყვანეთ. ნადიმი გაგრძელდა გათენებამდის.

ძ ვ ე ლ ი ღ მ ე რ თ ი.

(დასასრული *)

ჩემი აზრით ნაპოლეონ III მღვდელმთავრის წინააღმდეგ ისე ფიცხელი უსამართლობით არ მოქცეულა, როგორც მისი ბიძა, თქვა ტიღმორმა. ახლანდელმა კეისარმა წინააღმდეგ მღვდელმთავარი დაიცვა, დაიფარა. ამისთვის განა უნდა ირისხოს?

განა დაიცვა, უფალო ღმერთო!—დაიძახა მწუხარეთ გრაფმა. საქმის გარეგანი შეხედულებისაგან ასე მოტყუებულ ხართ. შევიტყე, რომ ნაპოლეონ III. უფრო მეტი ვნება მოუტანა სამღვდელმთავრო ტახტსა, ვიდრე ნაპოლეონმა. მართალია ბიძა მისმა მღვდელმთავარი დაატყვევა, ცხადათ მძლავრობა იხმარა, მაგრამ მისი ძმისწული მატყუარობითა, მზაკვრობით და ქვე-ბუდნობით ეპყრობა. მისი

*) იხ. „კვალი“ № 6.

მოტყუარი მოქალაქობა მიზეზათ გაუხდა ქრისტიანთ მამას გაცარცვისა.

— თქვენს ხსოვნას შეეკითხეთ! ნაპოლეონ III-ის სახელმწიფო გაზეთები არ არიან, რომ წლის წლობით ცდილობდენ ეჩვენებათ, რომ მღვდელმთავრისთვის საქვეყნიერო მფლობელობა შეუძლებელი არისო? თვითან კეისარმაც ხომ თავისი წერილით გამოაქვეყნა, რომლით უნდოდა, რომ მღვდელმთავრის საკუთრება საბალოთ და სასახლეთ აწეულიყო? ხომ საფრანგეთის ძლიერმა მკლავმა სესხიც მისცა იტალიის მტაცებელ მთავრობას? ასე ნაპოლეონ მესამე მცველ-მფარველი და შემწე ეკლესიის მცარველი არის და მღვდელმთავრის თავისუფლობის მომსპობელი იტალიელთაგან. ამისთანა ბოროტმოქმედების მიზეზით ღვთიურ რისხვას ქვეშ ჩავარდნილია თვითან და მასთან ერთათ მთელი საფრანგეთი!

— თქვენი ნათქვამი სრულიად ტყუილი არ არის, მიუგო ტიდმურმა, ცოტა რამ დაფიქრებას შემდეგ: რაც რომ ნაპოლეონმა იტალიასთან პირობა დაღვა, რომლით პიო IX-ეს საფრანგეთის მფარველობა ეხდება, კეისარის ვარსკვლავი კლებაზე არის!

იმავ დროს ნაპოლეონი რამდენი ვაფიცე, რამდენი მუდარებით ვეხვეწე, რომ ხსენებული პირობა არ დაედვა, თქვა რეთელმა, უბრალოთ! კეისარს ეკლესიის ღვთიური მცველ-მფარველობის მმართველობისა არა რწამს-რა. მაგრამ ბევრს არ გასწევს უნდა ისესხოს, რომ თავისი ეკლესიის შემაწუხებლების წინაალმდეგ უწინალმდეგო ძლიერებით და რისხვით ცხოველი არის ძველი ღმერთი!

— ვთქვათ, ნაპოლეონი რისხვის ღირსი არის, როგორ შეიძლება მართალი მთელი ერთი ქვეყანა პასუხის-მგებელი იქმნას თავის მფლობელის ცოდვისათვის? უპირდაპირა ტიდმორმა.

— როგორიც ერი, მისთანა მთავარიო, უთხრა რეთელმა. საფრანგეთს რომ ნდომებოდა, შეეძლო ძალ-დატანება კეისრისა, რომ ქრისტიანულათ ემართა. გარნა მიუშვა ნებაზე, რომ ყოველი უსჯულოება აესრულებიათ. გვაროვნობის მხოლოთ ერთი მცირე ნაწილი უბრალოთ ჩიოდა სარწმუნოების გარყვნილობის წინაალმდეგ და ვინ დააწინაურა ურწმუნოება, ზნეობის სიწამხდრე? კვალათ ნაპოლეონ III. მიუშვა, რომ თავისი გარყვნილი ზე-გავლენა ეხმარა საბეჭდავსა, რომელიც ეგრეთ ურწმუნო და ბილწი იყო, როგორიც იყო ფილოსოფოსების საბეჭდავი პირვანდელ ცვალებადობის წინათ, რა რიგათ მოწამლა და ქრისტიანობის წინალმდეგის სულით აავსო მთელი ურდო? ახლანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ სარწმუნოებრივი თანამდებობის მასრულებელი სასულიერო მეიდანზე ვერ შეიძლებს დაწინაურებას აღსავლითა. ურდოში ყოვლად სრული ურწმუნოება და უურცხვინესი წარმართობის სული უფლობს. ერთი სიტყვით ნაპალეონ მესამემ საფრანგეთი უზნეობის და გარყვნილების უფსკრულში ჩააგდო. განა ეს ეკლესიის მდევნელობა არ არის?

უკეთუ მე დიდი ხნის აქეთ არ ვიცოდე, რომ სათემო უწყალო ღევნულობა სარწმუნოებას იჰოდნათ ვნებას არ მისცემენ, რაოდნათაც ვნებას მისცემს ეკლესიას ფარული და მზაკვრული მტრული შეთქმულებანი ნაპოლეონის მმართველობა საკმაო იყო ჩემთვის ამ საქმის გასაცნობათ! საფრანგეთი ძლიერ ღრმათ ჩავარდნილია. ღვთის გზის გარეთ მეტათ გადასულია, ამისთვის უნდა, რომ ირისხოს, „ძველი ღმერთი ისევე ცხოველი არის“.

— რადგან ლაშკარში სამი შვილი გყავსთ, საფრანგეთის დამარცხებამ უნდა რომ დაგაღონოსთ ორკეცათ, მეგობარო! გამხნევდით, იმედი იქონიეთ ჩვენი ჯარის სიმხნესა და ჩვენი მხედართ მთავრების ხელოვნებაზე!

მხნეობა და ხელოვნება მიუძლურებულ იქმნებიან, როცა ყოვლად ძლიერი რისხვით სამართალზე გამოვა.— თქვა მწუხარეთ რეთელ-გრაფმა. თუმცა ჩვენს საწინაალმდეგოთ პრუსის ყრმათ ურდო გამოსულიყო, კიდევ მაინც ისინი ჩვენზე გაიმარჯვებდენ!

რაღას იცინით! ცოტა მოიცადეთ და ჩვენებას ნახავთ, უთუოთ ნახავთ?!

გრაფის უბედური წინასწარმეტყველებანი ასრულდენ, ერთი მეორეს ზედ მიყვენ ვაისენბურგის, ვიერტვის, სააბრუკენის, გერმანელების გამარჯვებანი, და მეც თან მიცემული სისხლის მღვრელი შებრძოლებანი. ამას შემდეგ ურდოთ სიმრავლენი სედანის ოთხკუთხივ გამწკრივდენ. საშინელი ბრძოლა ატყდა იქ: ათასობით თოფ-ზარბაზნების ჭექა-ქუხილი ჰაერს აზანზარებდა და დედა-მიწას არღვევდა, პელვის ციხეც საფუძვლით ირხეოდა და ფანჯრის მინები ილეწებოდენ მსხვრევა-მტვრევით!

ტიდმური საშინლათ აღელვებული იყო. ხოლო რეთელ გრაფი თუმც მწუხარე იყო, მაგრამ მასთან თავსმდები „ღვთის ნება იყოსო“.— ამბობდა ხშირათ: ღმერთმა შვილები შემინახოს და ღრმათ ჩავარდნილ სამშობლოსაც ხელახლავ სიცოცხლე დაუბრუნოსო!

ენკენისთვის ორს დილით ტიდმურმა დიდი გაკვირვებით ფრანგი მოხელისაგან ცნობა მიიღო, რომ იმ დღეს პელვის ციხეში ნაპოლეონ კეისარი და პრუსიის მეფე უნდა ერთათ შეყრილიყვნენ: „დიდებული კეისარი საათის ათს აქ მობრძანდებაო, თქვა—თავის ვალი აასრულა მოხელემ, შემოახტა ცხენს და საშუროთ გაუდგა გზასა.

ციხის პატრონი ჭკუიდან გამოვიდა, რეთელ-გრაფის სადგომს მიაშურა.

„უფალო ღმერთო! წარმოიდგინეთ ერთი კეისარს კაცი გამოუგზავნია საცნობელათ, რომ დღეს აქ უნდა მოვიდეს თურმე, დაიძახა: აქ პრუსიის მეფე უნდა ინახულოს. მე კი დიდებულების მისაღებათ სრულიად სამზადისი არა მაქვს-რა. ჯარს მთელი ჩვენი სარჩო საწუთრო აუკლია, შამპანიის ღვინის უკანასკნელი ბოთლი დაწრეტილია. მეგობარო, რჩევა მომეცით, მიბრძანეთ რა ვქმნა?

გრაფმა სრულიად თავის გულის მშვიდობა არ

დაარღვია, არც მღელვარების ანუ გაოცების გამოჩენით მწუხარე სიმძიმე შეიცვალა!

„საყვარელო, რასთვის გინდათ საჭმელ-სასმელი, ვისთვის უნდა ქმნათ ნეტა სამზადისი?—კეისრისათვისო თქვა.—

„დამერწმუნეთ მე, კეისარს არაფრის მოთხოვნილება არ ექმნება იმ დროს, რომ თავის დამარცხებას და ტყვეობას ხელს მოაწერს, დაბეჭდავს!“

ტიდმორი სკამზე დაეშვა.

„უფალო ღმერთო ჩემო! უფალო ღმერთო! იძახდა ხელების ერმანეთზე ცემითა. აქ ჩემს სახლშიო, აქ საფრანგეთის კეისარმა თავის ხმალი ერთ ამპარტავანს ვამარჯვებულს უნდა გადასცესო. რა სირცხვილის ნახვაა, რა უბედურებაო!“

ორივე ხელები პირის-სახეზე მიიფარა და ტიროდა მწარეთ!

„დაწყნარდით, საყვარელო ბერნარდ, ეუბნებოდა გრაფი ნუგეშის მიცემითა. ეს ასე უნდა მომხდარიყო. წარმოდგენა სანახავი გულის მომწყვლელი, შემაშფოთებელი რამ არის, მაგრამ მასთან დამარცხვენილი და ღვთიური. რადგან ღვთის რისხვის სამართალი უნდა ასრულდეს“. დიაღ ძველი ღმერთი პეტრეს ტახტის ზეგარდმო მცველ-მფარველი ცხოველი არის

რამდენსამე საათს შემდეგ ეტლი ციხისკენ მოდიოდა მრავალი ჩინებული ცხენოსნებით, მოატანა, შინ შემოვიდა ეტლი. ჯარის მთავრის მკლავზე დანდობილი ეტლიდან ჩამოვიდა ნაპოლეონი III. სარდალის ტანისამოსითა. ავათმყოფი და გამტყდარი ჩნდა, თითქოს ერთ ორ დღეში დაბერებულიყო.

ციხის პატრონმა რამდენიმე სიტყვით მის უდიდებულესს სტუმარს სალამი მისცა. ნაპოლეონმაც ნახვისათანავე თავის დაკვრით მადლობა გადუხადა. სულით და ხორცით მოღალულ-მოთენთქვილივით კიბე შეიარა, რა შევიდა ბაკში უეცრათ შედგა იქ, იწყო ერთ მხარეს ცქერა, სადაც წამოსადეგი მოხუცებულის ერთი ემშვიდებოდა.

„და ტურ თქვენ ხარ, რეთელ-გრაფიო?—ჰკითხა კეისარმა მღელვარებით.—მე გახლავარ, თვითმპყრობელო ხელმწიფევ!

„პატიმრობისა და ტყვეობის დროს ბიძა ჩემთან წასულხართ“. უთხრა ნაპოლეონმა: ხელით შუბლი დაიჭირა და გაჩუმდა“.

—ოო! დიდებულო ხელმწიფევ—დაიძახა გრაფმა გარემოებათა ზე-გავლენისაგან ძლეული, მმუსრამს მე წერილის ის სიტყვა, რომ საშინელი რამ არის ცხოველის ღვთის ხელში ჩავარდნა!

ეგრე არის, გრაფო. დიდი სიმართლე გაქვთ ჩემზე მაგ სიტყვის თქმისა, რადგან ჩემი ძლიერების სიმაღლის დროსაც მწარე ჭეშმარიტებანი არ დამიფარეთ მე! ეგრე არის, არ შემიძლია უარისყოფა. თუ იმ დროს მღვდელმთავრისა გამო თქვენი თხოვნისა და ვედრებისათვის ყურადღება მიმექცია, ახლა მე აქ არ ვიქნებოდი!

„ბიძა ჩემის თქმულება სრულდება“: ნუ შეაწუხებთ, ნუ ემძლავრებით მღვდელმთავარსა, თვარა შეგქბავსთ, შეგმუსრავსთ თქვენ პეტრეს ტახტის ღვთიური მცველი მფარველობის მრისხველი მკლავი; ჩემზე მოწევნილი მდგომარეობა ამ ჭეშმარიტების ახალი ჩვენება არის.

კეისარმა ეს თავის თავათ თქვა: ერთ წუთს დადგა, წავიდა წინ, შევიდა სადგომში და გაუჩინარდა კარიდან, სადაც უწყო მოლოდინება გამარჯვებულსა. კეასარის დარაჯი ბაკში უცდიდა, მწუხარ მწყობრებათ დაყოფილი. ხან-და-ხან ნაპოლეონი ფანჯრის წინ მოდიოდა ცხვირ-პირ ჩამოყრილი, უბედურების მძიმე ტვირთ ქვეშ დაცემული!

ხანი გადიოდა, ვრცელდებოდა, გამარჯვებული კი არსათ ჩნდა. ოთხი საათი გავლილი იყო, რომ ნაპოლეონს შემაწუხებელ საუკუნეთ უჩნდა, ერთიც სწორეთ საათის ორზე ცხენოსანი ჯარი ციხის მოედანზე შემოდგენ და გამწკრივებულნი დადგენ. შორიდან დაბდაბების ხმები გაისმენ. გამარჯვების ზახილნი ოთხყურეს ქუხდენ. გამარჯვებული მეფე გამოჩნდა თან ხლებული მთავრებისა და მხედარმძღვანთა სიმრავლითა. ნაპოლეონი თავის სადგომიდან გამოვიდა, ბაკამდის მეფეს წინ მოეგება, ორთავ მფლობელთ ჩუმათ ურთი-ერთს ხელი მისცეს და სადგომში შევიდენ.

ციხის ოთხ-კუთხივ სასაფლაოსებრ სიჩუმე უფლობდა, თუმცა იმოდენი სიმრავლე იყო. ყველანი ულრმესათ ჰგრძნობდენ იმ წუთის სიმძიმეს. აუღელვებელ ბისმარკს გრაფის პირის სახეზედაც შინაგანი მღელვარების ნიშნები ჩნდა. მართლაც რანაირი შესანიშნი შემთხვევა იყო მისთანა ხელმწიფის ანაზდეული დამარცხება, რომელიც წლის-წლობით ევროპაში მბრძანებლობდა და მთელი ქვეყნის დამოკიდებულებათა შინა წინამძღვრობით მაშვალობდა ხოლმე!

ქარის ამოქროლევისაგან ხეივანთ ნაძვთა შრიალი ხმა გაისმა თუ არა, ჩვეულებისაგან უფრო ჰგრძნეს, ვითამც სამართლის საქმნელათ ღვთის იქ ყოფნა!

საკმაო ხანი გავიდა. სადგომის კარი გააღო, გამარჯვებული მეფე გარეთ გამოვიდა მრისხანე და გადაფითრებული, ვიდრე კიბის თავამდის მიჰყვა ტყვეთ ჩავარდნილი კეისარი, იქ დადგა, მარცხენა ხელზე თავი დაედვა და მარჯვენა ხელში ცრემლებით დასველებული ხელსახოცი ეჭირა.

მრისხანე მეფე ცხენზე შეჯდა: პატარა ხანს უკან ტყვე კეისარიც გზას გაუდგა!

„ნეტარ თუ მთელ ქვეყანას ეს ამბავი თავის თვალით ენახა—დაიძახა რეთელ-გრაფმა, ფანჯრიდან, სადაც იდგა და წამსვლელს თვალი გააყოლა. აგერ დიდ ძლიერი მფლობელი მიდისო დამარცხებული, ტყვეთ ჩავარდნილი, დამტვრეულ-დალეწილი საუკუნოების მრისხანე მარჯვენესგან.“

მღვდ. გვარამაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 10 Февраля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41.